საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1263 2016 წლის 1 ივლისი ქ. თბილისი

ა(ა)იპ - საქველმოქმედო ფონდ საქართველოს კარიტასის საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი გათავისუფლდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) და ა(ა)იპ - საქველმოქმედო ფონდ საქართველოს კარიტასს (ს/ნ: 405033501) შორის 2012 წლის 10 იანვარს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების 2.2.9 მუხლით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, ამავე ხელშეკრულების 3.5 მუხლის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი